ბრძოლა შამქორთან (1195 წ.) და ბასიანთან (1204 წ.), რომლებშიც ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ამით „ნიკოფონის დარღუბანამდე გადაჭიმულმა“ საქართველომ უზრუნველყო მთელი საზღვრის სრული უსაფრთხოება. შემდეგ თამარ მეფემ ყუბანისკენ მიმართა საზღვრის სანაპიროსკენ მიმართა: აიღო ლაზიკა, სინოპი, ტრაპიზონი... ამ ქვეყნებისაგან შექმნა „ტრაპიზონის სამეფო“, რომელიც სათავეში ჩაუყენა ბაგრატიონთა (საქართველოს სამეფო გვარია) აღმშენებელ ალექსი კომნენოსი. ტრაპიზონის იმპერიის (1204-1461) სახელით კარზე გამოკვეთილად არსებული ორი პოლიტიკური ორიენტაცია — კულტურული ტენდენცია — ქართული და ბიზანტიური.

თამარისდროინდელი საქართველო პოლიტიკურ წარმატებებთან ერთად ეკონომიკური აღმავლობის გზას აგრძელებდა: უფრო და უფრო განვითარდებოდა სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ხელოსნობა, მხატვრობა, ოქრომკვლელობა (ბეჭა და ბეშქენ ოპიზრები), ხუროთმოძღვრება (კრიხია, იკორთა, ლურჯი მონასტერი, ბეთანია, ქვათახევი...). თამარ მეფის დიდ ყურადღებას აქცევდა ადგილობრივ თუ საზღვარგარეთულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებს, დიდ შესაწირავს უგზავნიდა მათ... უდიდეს წარმატებებს მიაღწია საერო ლიტერატურამ (ჩაიხიძე, შავთელი, შოთა რუსთაველი...), ფილოსოფიამ (არსენ იყალთოსელი, იოანე პეტრიწი...). ამ პერიოდის მსოფლმხედველობაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ჰუმანიზმი (მისი ნათელი გამოხატულება — „ვეფხისტყაოსანი“), რამაც საშუალება მისცა მეცნიერებს, რომელთა შორისაა და ხელოვნებაში დაინახათ რენესანსის ნიშნები (თუ როგორც საზღვრის გავიზიარებით, შეიძლება გვეთქვას: ქართულმა ხელოვნებამ თითქმის საუკუნენახევრით დაასწრო ევროპულს).

თამარ მეფე მრავალი ღირსებით ყოფილა შემოქმედებული: ბრწყინვალე მხატვრის ქალი (მისი ოთხი ფრესკული პორტრეტი შემოუნახავს მთელი მხატვრობა: ვარძიაში, ბეთანიაში, ყინწისისა და ბერთუბანში), გამორჩეული სათნოებით, სიბრძნით, გონიერებით, სიწმინდით, მოქალაქეობით... დიდი ღვაწლი დასდო თამარმა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას. რომელმაც იგი წმინდანად შერაცხა, სამების მონასტრით, ძე-ღმერთი, სული-წმინდა) მეოთხე წევრად აღიარა და მისი ხსოვნის დღედ საეკლესიო კალენდარში 1(14) მაისი დაამკვიდრა. მისი ხსოვნის ხალხის ცნობიერებაში თამარი ზედადამიწური პიროვნებაა, რომლის ხსოვნასაც იგი უღრმესი პატივისცემითა და სიყვარულით ინახავდა.

სწავაძე დღევანდელი ყოფილიყოს ეს ხსოვნა!

ქვეყნის მთელი მისი ცხოვრების შემდეგ after his/her death
საზღვრის არისტოკრატია feudal aristocracy
მეფის მეფე he has crowned her a king
საზღვრის გარდაცვალების ტრადიციის დარღვევა to break a long tradition

მრავალსაუკუნოვანი long (of many centuries)
 იმასაც მოწმობდა it also proved the fact that
 განსაკუთრებული პატივისცემის ობიექტად ქცეულიყო she has
 come an object of special reverence
 გამწვავებულა it has become aggravated
 გამწვავება to become aggravated
 შინაკლასობრივი ბრძოლა inner-class fight, struggle
 შეეცადა აღედგინა he tried to restore; აღდგენა to restore
 დაკარგულ-ი lost; დაკარგვა to lose
 იძულებული გამხდარა დაეთმო ზოგი რამ she was obliged to
 to make some concessions on some points
 საშინაო (საგარეო) პოლიტიკა home (foreign) policy
 ლაშქარი army
 რამდენჯერმე მოუხდა შეტაკება he had several battles
 ვერ შერიგებოდა couldn't put up with;
 შერიგება to put up with
 საქართველოს გაძლიერება strengthening of Georgia
 ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია In this respect
 special note should be made of
 შამქორ-ი, ბასიანი-ი (გეოგრ.) Shamkor, Basiani (place names)
 სამხრეთის საზღვარი-ი south frontier, border
 სრული უსაფრთხოება complete security
 ყურადღება მიმართა she directed her attention to
 სანაპირო coast, littoral; seashore
 ლაზიკა, სინოპი, ტრაპიზონი-ი (გეოგრ.) Lazica, Sinope, Trebizond
 (place names)
 სათავეში ჩაუყენა she enthroned (Alexius Comnenus)/imposed
 (him) as the ruler of the Trebizond empire
 ბაგრატიონთა ნათესავი kin of the Bagrationis
 გამოკვეთილად არსებულა distinctly existed
 თამარისდროინდელი-ი of Tamar's time, epoch, period
 ეკონომიკური აღმავლობა economic growth, prosperity
 სოფლის მეურნეობა agriculture
 ვაჭრობა trade, commerce
 ხელოსნობა artisanship, workmanship
 ოქრომჭედლობა goldsmithing, jeweller's art
 ხუროთმოძღვრება architecture
 დიდ ყურადღებას აქცევდა she paid great attention to
 წარმატებებს მიაღწია she achieved success
 საერო ლიტერატურა secular, lay literature
 მსოფლმხედველობა world outlook, view
 საშუალება მი-ს-ცა დაენახა-თ it enabled them to see

ამ თვალსაზრისს გა-ვ-იზიარებდით if we shared this opinion
 (point of view)
 ...ის almost
 ...უნენახევრით დაასწრა-ო anticipated by a century and a half
 ...ებით შემკულ-ი endowed with virtues
 ...ყინვალე გარეგნობის of splendid appearance
 ...ობა virtue, goodness
 ...ხედე purity
 ...მოქმედება charity
 ...ი ღვაწლი-ი და-ს-დ-ო she contributed much to
 ...ოლმადიდებლური ეკლესია Orthodox church
 ...ება Trinity
 ...ობიერება conscience
 ...ადამიანური პიროვნება superhuman personality
 ...რძელ-ი having long life
 ...რძელი ყოფილიყო-ს may she live long
 ...ნა memory

Unit 26

Peculiarities of Series 3

III სერიის თავისებურებანი

In Series 3 the Georgian verb reveals some peculiarities. We are already familiar with one of them, i.e. inversion - the shift of the functions of person markers, which is typical of all transitive verbs. We think it proper to revise the meaning of inversion. In the forms of Series 1,2 the subjective person has the subjective person marker and the objective person - the objective marker; in Series 3, however, the actual subjective person (RS) is expressed by the objective person marker, and the actual objective person (RO) is indicated by the subjective person marker:
 For example:

1₁ (=S) ვ-ხატავ მას (=O)
 1₁ (=S) და-ვ-ხატე ის (=O)

In these verbs the 1st subjective person is "I" (მე) and it is reflected in the verb by the subjective person marker (ვ-)

In the forms of Series 3 we have:

მე=RS და-მ-იხატავ-ს
და-მ-ე-ხატ-ა
და-მ-ე-ხატ-ო-ს

where the doer of the action "I" is indicated in the verb the objective person marker მ.

In the verbs მ-ხატავ-ს ის(=S) მე(=O)

და-მ-ხატ-ა მან(=S) მე(=O) (forms of Series 1,2)

მე(me) is the objective form of the 1st person and is expressed the verb by the objective person marker მ, but we have a different picture in Series 3 of these verbs:

Resultative 1 და-ვ-უ-ხატავ-ვ-არ მე = RO
Resultative 2 RS=მას და-ვ-ე-ხატ-ე
Resultative 3 და-ვ-ე-ხატ-ო

მე (me) actually remains an objective person form, but it is expressed by the subjective person marker within the verbs (in Resultative 1 the marker -ვ gets doubled as a result of the addition of ვარ(am)). The same is true of other persons and the plural forms as well:

შენ (=S1) ხატავ — შენ (=RS) და-გ-ი-ხატავ-ს
ჩვენ (=S2) ვ-ხატავ-თ — ჩვენ (=RS) და-გ-ი-ხატავ-ს
ის (=S3) ხატავ-ს — მას (=RS) და-უ-ხატავ-ს

As was stated above, this works in case of all transitive verbs and in intransitive medio-active verbs:

S1= მე ვ-ალაგებ წიგნებს I am putting the books in order

RS= მე და-მ-ი-ლაგებ-ი-ა წიგნები (RO₃)
და-მ-ე-ლაგებინ-ა
და-მ-ე-ლაგებინ-ო-ს

S1= მე ვ-ათბობ I am heating (heat)

RS= მე გა-მ-ი-თბ-ი-ა
გა-მ-ე-თბ-ო
გა-მ-ე-თბ-ო-ს

S1= მე ვ-ასწავლი I am teaching (teach)

RS= მე მი-ს-წავლებ-ი-ა
მ-ე-ს-წავლებინ-ა
მ-ე-ს-წავლებინ-ო-ს

S1= მე ვ-თამაშობ I am playing (play)

RS= მე მი-თამაშ-ი-ა
მ-ე-თამაშ-ა
მ-ე-თამაშ-ო-ს

S1= მე ვ-ცხოვრობ I am living (live)

RS= მე მი-ცხოვრ-ი-ა
მ-ე-ცხოვრ-ა
მ-ე-ცხოვრ-ო-ს

In connection with inversion one group of Georgian verbs deserves special notice. These verbs are analogous to those given above despite the fact that they do not belong to the forms of Series 3, they are not transitive and are not medio-active.

These verbs are: მაქვს, მყავს I have; მიყვარს I love; მომწონს I like; მშია I am hungry; მცივა I am cold; მწყურია I am thirsty; (We are familiar with the conjugation of some of them). In these verbs (as in the above-given verbs), the real situation does not coincide with its grammatical expression: "I" is understood as an actual subject (RS) in all these cases, but the grammatical objective person marker მ is given in the verb, and vice versa, the actual or real object (RO) has the marker (-ს; -ა) of a grammatical subject. The inversion of person markers occurs in these verbs in all possible screeves (მე მიყვარს, მიყვარდა, მიყვარდეს, მეყვარება, მეყვარებოდა, მეყვარებოდეს... მყავრებია, მყავრებოდა, მყავრებოდეს).

The transitive tripersonal verbs are characterized by a reduction in the number of persons - all tripersonal verbs become bipersonal in Series 3: the indirect object, i.e. the person that was in the Dative will take the Genitive form and add the suffix -თვის (for). Thus, there is no indirect object in the forms of Series 3:

For example:

მე (=S₁) მი-ვ-წერ-ე წერილ-ი (=O₃^d) მეგობარ-ს (=O₃ⁱ)
in Series 3:

მე (=RS) მი-მ-ი-წერ-ი-ა წერილ-ი(=O₃^d) მეგობარ-ის-თვის
მი-მ-ე-წერ-ო-ს

or: მე (=S₁) ა-ვ-უ-შენ-ე სახლ-ი (=O₃^d) შვილ-ს (=O₃ⁱ)
in Series 3:

მე (=RS) ა-მ-ი-შენ-ებ-ი-ა სახლ-ი (=O₃^d) შვილ-ის-თვის
 ა-მ-ე-შენ-ებ-ი-ნ-ა
 ა-მ-ე-შენ-ებ-ი-ნ-ო-ს

The following is also a peculiarity of Series 3: the **past voice**, which in the forms of Series 1 and 2 may have the marker **ი-, ე-, -დ-**, loses the marker:

ი-წერება, და-ი-წერ-ა but: დაწერილა, დაწერილიყო, დაწერილიყოს
 ე-ხატება, და-ე-ხატ-ა but: დახატვია, დახატვოდა, დახატვოდეს;
 შენ-დ-ება, ა-შენ-დ-ა but: აშენებულა, აშენებულოყო, აშენებულოყოს

Series 3 is characterized by one more peculiarity, which is revealed in Resultative 1: In this screeve transitive verbs necessarily take objective version markers, but these verbs do not convey the meaning of version.

In Resultative 1 all these version forms (ა-შენებ-ს, ი-შენებ-ს, ე-შენებ-ს) have one common form (ა-უ-შენებ-ი-ა), which corresponds to objective version (უ-).

Below is given a poem "Georgia Has Once Been Great" by Murman Lebanidze, a modern Georgian poet. It abounds in the forms of Resultative 1 of transitive and intransitive verbs.

მურმან ლებანიძე

ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო

ჩემო თვალნათელო, ჩემო სანატრელო,
 ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო,
 ყოფილა დავით მეფე აღმაშენებელი,
 ყოფილან ოპიზრები — გასაშტერებელი,
 ყოფილა მოდრეკილი, ყოფილა ცურტაველი,
 დასაც მოჰყოლია შოთა რუსთაველი...
 ჩემო მიმინო და ჩემო ფრთანათელო,
 ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო.
 ყოფილა ნიკოფსით-დარუბანდამდე
 აჭენებული და გამოჰენებული;
 რტოებგაშლილი და გამოჩინებული,
 ყოფილა ორ ზღვას შუა აღმოცენებული.
 ვიე, საქართველოს ჰყოლია ვასლები!
 ამაღარ უკრეფია სულ ოქროს ვაშლები!
 ევრი გვიწაღდია, ისე გვიზარდია,

ჩემო გაგმზადებულგვართ ახალ ბიზანტიად...

ჩემო რამე უცაბედად მატლი არეულა,
 ჩემო ბაღი უკუღმა დატრიალებულა.
 ჩემო თვის მონღოლია პირველი სასჯელი;
 ჩემო ლოლს მოჰყოლია თურქი და სპარსელი.
 რტოება საქართველო ყოვრებს წაუღიათ,
 სპარსეთს და ოსმალეთს შუაზე გაუყვიათ.
 ჩემო ლილა თვალი და ჭაჭვი ჩარღვეულა,
 ჩემო ლოთო დაკეტილა, გელათი დანგრეულა.
 ჩემო მეფეს სულ სისხლის ცრემლებით უცრემლია,
 ჩემო ჩვეს საბრალო ლექსები უწერია.

რა დროს ლექსიაო, მოუყვდა პატრონი! -
 ხილვით შემოვარდნილა ერეკლე-ბატონი...
 ამას მოჰყოლია: „ვაჰ, დრონი! ვაჰ, დრონი!“
 ჩემო თვალნათელო, ჩემო ფრთანათელო,
 ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო!

ჩემო თვალნათელო, ჩემო ფრთანათელო my bright-eyed; my
 bright-winged (Voc.) (words of endearment)

ყრთა wing

ოდესმე = here: ოდესღაც at one time, once

დიდი ყოფილა has been (was) great; ყოფილა has been

ოპიზრ-ები (ბექა და ბეშქენ) Opizari (Beka and Beshken), well-known masters in chasing (13th century).

მოდრეკილი-ი მიქაელ Modrekili Mikael, well-known 10th cent. Georgian hymn-writer and musician

ცურტაველი-ი იაკობ Tsuraveli Iakob, author of the "Passion of St. Shushanik", the first extant original Georgian hagiographic work (5th cent.)

დასაც მო-ჰ-ყოლია-ა that was followed by

შოთა რუსთაველი Shota Rustaveli, author of the epic "The Knight in the Panther's Skin" (XII-XIII cent.)

მიმინო falcon

გაჭენებული-ი და გამოჰენებული-ი extending from border to border

რტოება racing (of a horse), galloping

რტოებგაშლილი-ი with branches spreading out: branch, bough

გამოჩინებული-ი = გამოჩენილი-ი (=ცნობილი-ი, სახელგანთქმული-ი) outstanding, well-known, renowned

აღმოცენებული-ი rising, sprouting

ვიე! ah! (Interjection)

ყოლია-ა he has had (Perfect Tense)

ვასლები (ვასალ-ები) vassals (pl.); ვასალ-ი vassal

უკრეფი-ა he has picked; კრეფა to pick, to gather
 ოქროს ვაშლ-ები golden apples (pl.); ვაშლ-ი apple
 ტევრი გვიწალდი-ა we have hewn forests with axes
 ტევრ-ი thicket, forest
 წალდი (elongated) axe
 გვიზარდი-ა (= გა-ვ-ზრდილ-ვ-არ-თ) we have grown;
 ზრდა growth, to grow
 გა-ვ-ზრდილ-ვ-არ-თ we've got ready for;
 გამზადება to get ready, to prepare oneself for something
 ბიზანტია Byzantium
 მაგრამ but
 უცაბედად = უცბად, უეცრად all of a sudden, unexpectedly
 მატლ-ი არეულ-ა here: the enemy (worm) has become confused
 მატლ-ი worm
 ბორბალ-ი wheel
 უკუღმა in the reverse direction; ant. წაღმა in the forward direction
 დატრიალებულ-ა has turned; ტრიალ-ი turning, revolution (wheel)
 ჩვენთვის for us
 მონღოლ-ი Mongol
 სასჯელ-ი punishment, retribution
 თურქ-ი Turk
 სპარსელ-ი Persian
 ტურფა lovely, pretty, beautiful
 წაული-ა-თ they have taken away (as a prey); წალება to carry
 სპარსეთ-ი Persia
 ოსმალეთ-ი Turkey, the Ottoman Empire
 შუაზე გაუყევი-ათ they have divided between them (into halves); გაყოფა to divide
 ზაშლილ-ა თვალ-ი a link has given way, broken,
 ზაშლა to break, given way
 ზეპვი ჩარღვეულ-ა the chain has broken, severed;
 იარღვევა to break/sever
 ყალთო, გელათ-ი — აკადემიები ძველ საქართველოში Iqalto, Gelati
 academies in medieval Georgia
 ისლ-ი blood
 კრემლი-ი tear; უტრემლი-ა = უტირი-ა he has shed tears, wept
 ყირილი-ი to cry, weep
 აბრალო poor, unlucky, miserable
 ა დროს ლექსია?! That is no time for [writing] poems
 უკვდა პატრონი! God damn it! (lit.: may there be death of his
 (its) master)

შემოვარდნილ-ა has rushed in with a sword; ბმალ-ი sword
 შემოვარდნა to rush in
 ბატონ-ი = მეფე ერეკლე II (1720-1798) Erekle the master
 King Erekle II (1720-1798)
 იი! (interjection)
 „დრონი, დრონი!“ „Oh, Times, Times!“ (Oh, Times Gone by),
 title of a poem by the Georgian romantic poet Alexandre
 Chavchavadze (1786-1846).

Comments on the poem:

მკრამან ლებანიძის ლექსი თითქმის შლის (turns) საქართველოს
 აკრძალვის ფურცლებს (pages): ვიხსენებთ (we recall) დავით აღმაშე-
 კისსა და თამარ მეფეს; სწორედ მათი დამსახურება იყო (they are
 entitled with, It was due them that...) „ნიკოფსიდიდან-დარუბანდა-
 ე“ გადაჭიმული (extended) ერთიანი და ძლიერი საქართველოს
 „ქროს ხანა“, როცა ინტენსიურად შენდებოდა ქალაქები, სოფლები,
 ეკლესია-მონასტრები (churches and monasteries), არნახულად (in
 unprecedented way) ვითარდებოდა მეცნიერებისა და ხელოვნების
 დიდხსნა დარგი (branches), მოქმედებდა აკადემიები გრემისა, იყალ-
 თო, გელათისა...

ვეცნობით (we acquaint ourselves with) მიქაელ მორეკილის —
 საუკუნის შესანიშნავ ჰიმნოგრაფსა და მუსიკოსს, რომელმაც 978-
 წლებში შეადგინა (compiled) საგალობლების კრებული (hymn-
 books). ამ კრებულმა შემოგვინახა (has preserved) მრავალი ბრწყინ-
 ვალე ქართველი ჰიმნოგრაფის სახელი და მათი შემოქმედების ნიმუშ-
 ე (examples, specimens of their work). კრებულში შესულია თვით
 მიქაელ მორეკილის ორიგინალური საგალობლებიც. განუზომელია
 (invaluable) ამ საგალობლების მნიშვნელობა (significance) იმ თვალ-
 წარსივითაც (for the additional reason, that), რომ მათ დართული
 მუსიკა (supplied with) მუსიკალური დამწერლობის ნიმუშები (musical
 notation).

ვეცნობით ბექა და ბესეზენ ოპიზრებს — ბრწყინვალე ოსტატებს
 (brilliant masters), ოქრომჭედლებს (jewellers, goldsmiths). ვიგო-
 ნებთ (we recall) იაკობ ტურტაველს — V საუკუნის მწერალს (writer,
 author), ჩვენამდე მოღწეული (extant, surviving) უძველესი ქართული
 „ხსენების (work) — „შუშანიკის წამების“ ავტორსა — და შოთა
 რუსთაველს — ქართული პოეზიის მწვერვალს (the acme of Georgian
 poetry), „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელს (creator).

ბრწყინვალე პოეტი იყო მეფე დავით აღმაშენებელიც, ავტორი
 სამოგრაფიო შედევრისა „გალობანი სინანულისანი“ (Hymns of
 repentance). სხვა მეფე-პოეტებსაც იცნობს საქართველოს ისტორია.

მათ შორისაა ის „ოთხი მეფე“, რომელთაც ახსენებს პოეტი მურმან ლებანიძე. ესენი არიან თეიმურაზ I (1589-1663), არჩილი (1641-1713), ვახტანგ VI (1675-1737) და თეიმურაზ II (1700-1782).

მძიმე დრო დაუდგა საქართველოს XIII საუკუნიდან. ქვეყანა განუწყვეტლივ (continually, incessantly) თავს ესხმოდა (was attacked/invaded) ჯერ მონღოლები, შემდეგ — თურქები, სპარსელები მეფე ერეკლე II-მ ბევრი რამ გააკეთა ქვეყნის გასაძლიერებლად (strengthen), მაგრამ მტერთა გამუდმებული შემოსევებისა (inroads/invasions) და შინაგანი (internal) რეაქციული ძალების გააქტიურების გამო იძულებული გახდა ეძებნა (had to look for, was induced to) ძლიერი მფარველი (protector). ამ მიზნით დაიდო (has concluded) რუსეთ-საქართველოს მეგობრობის პირობა (treaty) — „ორგიევსკის ტრაქტატი“ (The Treaty of Georgievsk) (1783 წ.), მაგრამ, სამწუხაროდ (unfortunately), რუსეთის მთავრობა (government) არ შეასრულა (did not adhere to) „ტრაქტატის“ პირობები (terms), გააუქმა (abolished) ქართლ-კახეთის სამეფო და რუსეთს შეუერთა (annexed/joined it) (1801 წ.). ასე დაკარგა (lost) საქართველომ სახელმწიფო დამოუკიდებლობა. სწორედ ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული (caused) დიდი სირაპა (anguish) გამოხატული ცნობილი ქართველი რომანტიკოსი პეტრე — ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსში „ვაჰ, დრონი, დრონი“.

UNIT 27

The Adverb

ზმნიზელა

The adverb is a part of speech, which completes or modifies the meaning of a verb, an adjective or another adverb. The verb points to the place, time, manner, frequency, reason, purpose of the action expressed by the verb: აქ დაიბადე I was born here; გუშინ წვიმდა it was raining yesterday; მეტისმეტად ცივა It's too cold; დილით ძალიან წვიმდა It was raining hard in the morning; იმიტომ მოვედი that's why I have come; იმისთვის რომ he said it for the reason that, etc. As was mentioned above, an adverb may be connected not only with the verb but also with an adjective (ძალიან ლამაზი very pretty), or another adverb (ძალიან კარგად იცვამს she dresses very well).

Simple adverbs are very few in Georgian. They are: აქ here, იქ there, აწ (arch.) = ახლა now, სად where, შინ in, (at) home, ხვალ tomorrow.

The majority of adverbs is derived from petrified case-forms of nouns, numerals or adjectives. Such petrified forms of adverbs represent the Dative, Genitive, Instrumental/Ablative and Adverbial cases. Therefore one and the same form may function both as a noun and as an adverb:

ქ.: „ამ დღეს ველოდი, მოვესწარ...“ I was awaiting this day ... and: „დღეს მერცხალი შემოფრინდა“ Today (adv.) a swallow flew into my room.

Similarly: „კარგად“ is the adverbial case of the adjective „კარგი“ (good) and it may function as adverb: კარგად (well) ხატავს.

Adverbs may occur in the above-mentioned case-forms either with or without post-positions.

For example:

Dative: ძირს downstairs, შორს far, ახლოს near, დღეს today, საღამოს in the evening, წელს this year, თავში at the beginning, შუაში in the middle, ბოლოში at the end, განზე aside, გვერდზე next to.

Genitive: წუხელ(ის) last night; მერმის afterwards.

Dative and Genitive: შუალამისას at midnight; შუადღისას at noon; მეზობლისას at the neighbour's.

Instrumental: გვერდით beside, ღამით at night, შორით afar, წინათ formerly, გარეთ out, outside; ზემოთ/ზევით up, above; უნებლიეთ instinctively, საითკენ whither; შიგნიდან from inside; ქვევიდან/ქვემოდან from below, საიდან where from, etc.

Adverbial: ცერად askew, უცერად suddenly, სწრაფად fast.

The case-ending may be completely or partially lost: ჩქარა quickly, ნელა slowly, მაღლა above, აქამდე so far, მანამდე up to that place/time, etc.

Some adverbs are derived by doubling the stem (stem-reduplication) with or without the conjunction and (და).

For example: ნელ-ნელა little by little, ჩქარ-ჩქარა faster and faster, უკან-უკან backwards, წინ-წინ forwards, კარდაკარ from house to house, ფეხდაფეხ following in one's footsteps, წინდწინ beforehand.

Adverbs are sometimes formed with special affixes, such as: the post-position -გან (from), the old case-ending -ივ and particles რი. -ჯერ (-times). Examples:

გან: სხვაგან elsewhere, ერთგან at a certain place, ზოგან somewhere, ყველგან everywhere.

-ივ: მარჯვნივ to the right, მარცხნივ to the left, დაუყოვნებლივ immediately, განუწყვეტლივ nonstop, continually, ძლივ scarcely hardly.

-რე: ეგრე yes, that's it, მეტადრე the more so, ისე (<ისრე) that way ასე (<ასრე) this way.

Suffixes -გზის/-ჯერ (-ხელ) -times form adverbs from numerals: სამგზის/სამჯერ three times, ორგზის/ორჯერ twice, ასჯერ a hundred times, but: ერთხელ once.

According to semantics and syntactic functions, adverbs can be divided into the following groups:

1. Adverbs of place: აქ here, აქეთ this way, hither, იქ there, იქით that way, thither, უკან behind, წინ before, in front of, მარჯვნივ on/to the right, ირგვლივ (გარშემო) around...
2. Adverbs of time: დღეს today, ხვალ tomorrow, ზეგ the day after tomorrow, მაზგ the day after (the day after) tomorrow, გუშინ yesterday, გუშინწინ the day before yesterday, მუდამ/ყოველთვის always, დღისით in the day-time, ღამით at night, etc.
3. Adverbs of manner: კარგად well, ცუდად badly, უცბად suddenly, სწრაფად, ჩქარა quickly, fast, ნელა slowly, ძლიერ very, strongly, ძალიან very, ოდნავ slightly, მშვენიერად wonderfully...
4. Adverbs of cause or reason: ამიტომ/ამის გამო that is why, because of this, მაგიტომ/მაგის გამო, იმიტომ/იმის გამო because of that.
5. Adverbs of purpose: ამისთვის for this, მაგისთვის, იმისთვის for that.
6. Adverbs of measure and quantity: ამდენად, მაგდენად, იმდენად as much as, inasmuch as, სამჯერ three times, ათჯერ ten times, ათასჯერ a thousand times, სავსებით/მთლიანად/მთლანედ quite/fully, completely, ცოტ-ცოტად little by little.
7. Interrogative adverbs: სად? where? საიდან? where from? საიდან? where to? როდის? when? როგორ? how? რატომ? why? რისთვის? what for? რამდენად? how much? რამდენჯერ? how often?
8. Relative adverbs: Like relative pronouns, they are formed from the interrogative pronouns by adding the particle -ც: სადაც, საიდანაც, საითკენაც, როდესაც, როცა, როგორც, რატომაც, რისთვისაც. . .

³⁹ The following forms: ამიტომ, ამისთვის, ამდენად; მაგიტომ, მაგისთვის, მაგდენად; იმიტომ, იმისთვის, იმდენად ... reveal the same difference as the pronouns (ამან ...), ეგ (მაგან ...) and ის (იმან), viz. they differ from the view-point of personal relations.

⁴⁰ Adverbs of this group also have the meaning of manner, to a certain degree.

Relative adverbs with the particle -ც lose the meaning of question. And like relative pronouns, they function as subordinators in hypotactic constructions.

Examples:

„სადაც ვმოხილვარ, გავზრდილვარ... სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, ჩემი სამშობლო იქ არის“ Where I was born, reared, ... where I have lived since childhood, my homeland is there.

როგორც ქუხს, ისე არ წვიმს It does not rain so hard as it thunders.

საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი I fell in the direction I was running.

როცა (როდესაც) სიტყვა ხშირდება, მაშინ საქმე მცირდება When words grow in number, deeds become fewer.

რამდენიც თავია, იმდენი ჰკუთნა There are as many minds as there are heads.

საცა (სადაც) სიყვარული არ არის, იქ სიხარულს რა უნდა?! Where there is no love, there is no joy.

Certain adverbs may function as postpositions (=English prepositions) if they are connected with case-forms of a noun.

(ჩ.: წინ — წყალი, უკან — მეწყერი Water in front and landslide behind (წინ and უკან are adverbs here).

and:

სასახლის წინ ბაღია, სასახლის უკან კი — ტყე There is a garden in front of the palace and a forest at the back.

In this case წინ and უკან function as prepositions.

Here is a text about Ilia Chavchavadze (1837-1907), a famous Georgian writer. Pay attention to the use of adverbs.

ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძე იყო პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ისტორიკოსი, განმანათლებელი, XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოღვაწე, თავკაცი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა.

ილია დაიბადა ყვარელში, ყოფილი ოფიცრის — გრიგოლ ჭავჭავაძის ოჯახში. დედამ — მარიამ ბებურიშვილმა — ბავშვობიდანვე ჩაუყრდა მას ქართული სიტყვიერების სიყვარული. დაწყებითი განათლება ილიამ თავის სოფელში მიიღო, 8 წლისა კი თბილისში ჩაიყვანეს და ყრძო პანსიონში მიაბარეს, რომელსაც ცნობილი პედაგოგი პაკე ხელ-

მძღვანელობდა. პანსიონში პროგიმნაზიის კურსის გავლის შემდეგ გიმნაზიის მეოთხე კლასში მიიღეს.

1857 წელს ილია ჭავჭავაძე ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ილიამ ნაყოფიერი იყო მომავალი დიდი მოღვაწისათვის. იგი ბევრ კითხულობდა (განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიკური სახის აინტერესებდა). ინტენსიურად მუშაობდა მრავალსაუკუნოვანი რუსული კულტურის ძეგლების შესასწავლად. მისი ხელმძღვანელობა პეტერბურგის ქართულ სტუდენტთა სათვისტომოს ძველი ქართული წიგნებისა და ხელნაწერების მდიდარი კოლექცია შეუგროვებია...

ილიას პოლიტიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე გლენა იქონიეს რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა: ჩერნიშევსკი, დობროლუბოვმა, ბელინსკიმ, გერცენმა... სტუდენტობის დროსვე ეცნო ილია ევროპის აზროვნების ისტორიას (საფრანგეთის დიდ განათლებულებს, გერმანულ ფილოსოფიას, კერძოდ, ჰეგელს, უტანს სოციალისტებს...).

სტუდენტობის წლებში ილიამ თარგმნა პუშკინის, ლერმონტოვის, ბაირონის, გოეთესა და სხვათა ლექსები. გატაცებული იყო შექსპირის სწორედ ილია ჭავჭავაძეა (ივანე მაჩაბელთან ერთად) პირველი მთარგმნელი შექსპირისა ქართულად.

1861 წელს ილია საქართველოში დაბრუნდა. იგი განაგრძო შემოქმედებით მუშაობას, ამავე დროს ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მის ცხოვრებას და შემოქმედებას ორი მთავარი ზანი ჰქონდა: ბრძოლა ერის თავისუფლებისათვის და ბრძოლა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ამ სულისკვეთებითაა გამსჭვალული ილიას პოემები „აჩრდილი“, „ქართლის დედა“, „კაკო ყაჩაღი“ („რამდენი სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“)... მოთხრობები „ბაბის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი?!“. „მეზავრის წერილებში“ ილიამ ფიოდ ჩამოაყალიბა პოლიტიკური პროგრამა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა. პოემა „განდეგილში“ ავტორი შეეხო მსოფლიო პრობლემებს ცხოვრების არსისას, რწმენისას... ილია ჭავჭავაძის სული შემოქმედებისათვის დამახასიათებელია უსაზღვრო სიყვარული მულისა, უანგარო სამსახური ერისა, თავგანწირული ბრძოლა სიკეთის, სამართლიანობის დასამკვიდრებლად. ამას ადასტურებს მისი, როგორც პუბლიცისტის, კრიტიკოსის, სოციოლოგ-ეკონომისტის, ისტორიკოსის... — აქტიური მოღვაწეობა. ილია იყო ინიციატორი და სულისმძღველი თითქმის ყველა ორგანიზაციისა და დაწესებულებისა, რაც შექმნილა მე-19 საუკუნის უკანასკნელ მესამედში: ქართული ბანკი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ამ საზოგადოებასთან არსებული ძველი ქართული ხელნაწერების სტუდიისა, რომელიც გახდა საფუძველი ქართული ეროვნული ხელოვნების, ხელახლა აღდგენილი მუდმივი ქართული თეატრალური და მრავალი სხვა.

ილიას ერთ-ერთი უკანასკნელი ნაწარმოებია მოთხრობა „ოთარასიო ქვრივი“, რომლის მთავარი გმირი წარმოადგენს ქართულ ეროვნულ ტიპს, ამავე დროს, ზოგად სახესაც თავისუფლებისმოყვარე, შეუდარებელი სულის ქართველი ხალხისას. თხზულება გამორჩეულია თავისი მხატვრული ფორმითა და უბრწყინვალესი ენით.

მთელი სიცოცხლის მანძილზე ილია აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა. 1905 წელს იგი გამოვიდა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით; 1906 წელს იგი საქართველოს დელეგატი იყო სრული-რუსეთის თავდაზნაურობის საიმპერიო ყრილობაზე და არჩეულ იქნა სახელმწიფო საბჭოს წევრად. 1907 წლის თებერვალში ილია გამოვიდა სახელმწიფო საბჭოს სესიაზე სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ (სხვათა შორის, ჯერ კიდევ 1879 წელს ილიამ დაწერა პატარა მოთხრობა „სარჩობელაზედ“ — ერთ-ერთი უძლიერესი ნაწარმოები, რომელიც ამ პრობლემას მიუძღვნა), სულ რამდენიმე თვის შემდეგ კი ილია ვერაგულად მოკლეს. ეს მოხდა 1907 წლის 30 აგვისტოს სოფელ წიწამურთან.

„ჩვენთვის ილია იგივე საქართველო იყო...“

ევასილ ბარნოვი/.

„ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოკლავდნენ“
ევასილ ფშაველა/.

„თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები“

აკაკი წერეთელი/.

განმათავისუფლებელი- enlightener, educator

საზოგადოებრივი- ცხოვრება public life

ქონი მხედველობის- მოღვაწე major public figure

მთავარი- leader

ეროვნულ-განმათავისუფლებელი- მოძრაობა national liberation movement

ჩაუნერგა- he inculcated, inspired;

ჩაუნერგვა to inculcate, to instil with

მსწავლეთ- განათლება primary education

კერძო პანსიონი- private boarding-school

კურსის გავლის შემდეგ after completing the course of

კურსის გავლა to study, to complete a course

ჩაირიცხა- he was enrolled;

ჩაირიცხვა to enrol

საყოფიერო- fruitful;

ნაყოფი fruit

(პოლიტიკური-ი) საგან-ი (political) discipline, subject

საოჯახო-ი association of (fellow) countrymen

The Conjunction, the Particle, the Interjection

კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული

The conjunction (კავშირი) is a structural part of speech that connects words, phrases, clauses or sentences.

For example:

მზე და მთვარე The sun and the moon.

თუმცა ქარი ჩაღდა, მაგრამ მაინც ძალიან ცივა Though the wind stopped blowing (but) it is very cold.

According to their structure, conjunctions may be: a) simple (და and, თუ or, if, ან or) and b) derived (ვიდრე than, till, თუცა/თუ უნდა-ც even if, თორემ or else); according to the function they are coordinators (შეერთებელი) and subordinators (მამკობელი).

Coordinating conjunctions are: და and, მაგრამ but, კი and, ხოლო but, ან or, თორემ or else, ეხე იგი i.e., ანუ or, არამედ but.

და (and) is the most widespread coordinator, sometimes it may be used in this meaning: დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი იყო Everyone was there: the young and the old, men and women.

The conjunction თუ is used in Georgian as a coordinator in the meaning of and, or (ეს წიგნი შენია თუ შენი ძმის? Is this your book or your brother's? დამელოდები თუ წახვალ? Will you wait for me or will you go?) and a subordinator in the meaning of if (წერილს გამოგიგზავნი, ძალიან გამახარებ If you send me a letter you will make me very happy. თუ შემატყობინებ, აეროპორტში გხვდები If you let me know I'll meet you at the airport).

მაგრამ, ხოლო, კი are adversative (contrasting) conjunctions, always follows the second contrastive word.

For example:

მე ძალიან ვთხოვე, მაგრამ არ დამიჯერა I asked him very much, but he wouldn't listen to me.

ის ჭკვიანია, მაგრამ ძალიან უშნო, მახინჯი He is clever, but ugly.

შენ უკვე დაამთავრე წერა, (ხოლო) იმას კი არც დაუწყია You have already finished writing but he hasn't even started.

არამედ is used when the first contrastive word is accompanied by the negative particles არ(ა), ნუ (These particles are often intensified by კი): ის მივიდა მასთან არა სამსახურში, არამედ შინ He went not to his office, but to his home.

ის მივიდა, არამედ — შინ).

ან is an alternative (selective) conjunction:

For example:

ორი ან სამი კაცი უნდა მივიდეს იქ Two or three people must come here.

The conjunction ან is often repeated. It may have certain variables: ან — ან, ან — ანდა, ან — ან არადა.

ას დაჯექი, ან წადი Either sit down or go.

ას ბანდეროლით გამოგიგზავნი წიგნებს, ან მე თვითონ ჩამოგიტან I'll either post the books to you or bring them myself.

ას იმუშავე წესიერად, ან არადა თვალით აღარ დამენახო Either work properly or else off with you.

ხან — ხან (ხან — ხან კი; ხან — ხანაც = sometimes) also belong to alternative (selective) conjunctions:

„ხან უგნური ვარ, ხან — ბრძენი, ხან არც ისა ვარ, არც ისა“ (ა. წერეთელი). „I am sometimes foolish, sometimes wise, sometimes neither this nor that (A.Tsereteli).

„ხან მოილრუბლება, ხან კი ისევ მზე ანათებს Sometimes it's cloudy and sometimes it's sunny again.

გინდ(ა)...გინდ(ა), თუნდ(ა)...თუნდ(ა)

„გინდ(ა) მოდი, გინდ(ა) ნუ მოხვალ, ჩემთვის სულერთია Do as you wish either come or don't come; it makes no difference to me.

The conjunctions გინდ, თუნდ contain the finite verb-forms „გინდ“ and „თუნდ“.

Conjunctions გინდ(გინდაც), თუნდ(თუნდაც) may function as subordinators as well: „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ“ (გ. ორბელიანი).

„Even if I'm asleep, You are still on my mind“ (lit. in my soul) (G. Orbeliani).

„...თუნდ მოგვკვდეს, არ მეშინია...“ (ი. ჭავჭავაძე) Even if I die, I am not afraid... (I.Chavchavadze).

The conjunctions ანუ, ეხე იგი function as equatives: ეს იყო თევზის პატარა კვერცხები ანუ ქვირითი These were small eggs of fish, i.e. small eggs of fish.

ეს თევზის პატარა კვერცხები ე. ი. ქვირითი small eggs of fish, i.e. small eggs of fish.

Subordinating conjunctions are: რომ (that), სანამ (till), ვიდრე (than), გინაიდან (because, as), რათა (for, in order to), რადგან(აც) (because), თუმცა (though), თუ (if.) (see above), etc.

Relative pronouns and adverbs often function as subordinating conjunctions.

According to their semantics conjunctions may express meaning of place (**სადაც, საითაც**), time (**როდესაც, როცა, როგორც, ხანამ(დის), მანამ(დის)...**), cause, reason (**რადგანაც, ვისიდან, იმიტომ რომ...**), purpose (**რათა...**), etc.

e.g. მე მინდა, რომ სიმართლეს ვემსახურო I want to serve the truth (lit. : I want that. I serve the truth).

სანამ (ვიდრე) შენ ჩემთან იქნები, არაფრის მეშინია Till (while, until) you're with me I am not (won't be) afraid of anything.

როდესაც (როცა) სევდა მიპყრობს, ჩემი საყვარელი პოეტების სიტყვებს ვკითხულობ When I feel sad I read my favourite poets.

როგორც იშრომებ, ისე იცხოვრებ As you work, so you'll live.

თუმცა ძალიან დაღლილი იყო, დახმარებაზე უარი არ უთქვამს Though he was very tired he agreed to help (me, us).

Coordinators are used in compound sentences and in sentences with homogeneous parts, whereas subordinators are used in complex sentences.

The particle (**ნაწილაკი**) is a structural word, syllable or even a sound that is added to a word or a sentence and changes the meaning of the latter in a certain way. Some particles precede the word, others follow it; some are written separately, others are joined to words. cf.: არ იზარმაცო! Do not be lazy! And: ორიოდღე couple.

Particle may express a question (ხომ, განა really, ნუთუ indeed); negation (არ not, ვერ can't, ნუ don't); assertion (დიახ, ჰო, ხო yes); direct repetition of one's own or somebody else's words (-მეთქი I say, -თქო, -ო (he said)), approximation (-ოდე), modality (ნეტავ I wish, ეგებ maybe, იქნებ may be, დ(ა)ე may, ლე თურმე it seems..., უნდა must), indefiniteness (-მე, -ლაც), intensification (-ც(ა) too), even.

Here are the basic (frequently used) particles:

აბა — intensifies order: აბა გაბედე Just you dare:

აი = here: points to an object: აი სერიო! Look!

აკი — (may have the shade of surprise): აკი არ მოვალო, ამბობდი You said you wouldn't come!

განა — expresses question: განა ასე უნდა მოქცეულიყო? Should he have behaved like this?

დაე — is used to intensify order: დაე მუდამ იყოს მზე! May there always be the sun!

დიახ, დიად, კი, ჰო, ხო — are asserting particles, the last two particles (ჰო, ხო) are informal.

არ(ა), ვერ(ა), ნუ, არც, ვერც, ნურც — expresses negation. არ(ა) expresses simple negation (არ გააკეთა he didn't do it), ვერ(ა) expresses inability (ვერ გააკეთა he could not do it), ნუ expresses prohibition (ნუ მოსწევთ! Don't smoke!).

იგებ, იქნებ — expresses supposition, possibility: ეგებ (იქნებ) არც იცის? Maybe he doesn't even know?

იქნებ მოვიდეს Maybe he comes (will come).

თითქმის — expresses approximation (=almost): მან თითქმის დაამთავრა დისერტაციაზე მუშაობა He has almost finished working on his thesis.

თურმე — has the meaning of smth. unseen: გიორგის უთქვამს თურმე, არ ვიცოდით Giorgi appears to have said he didn't know about it.

კინაღამ, ლამის is close in meaning to the particle „თითქმის“.

The form ლამის requires the verb in Subjunctive II:

ისე წუხს, ლამის თავი მოიკლას He's worrying so that he's almost ready to commit suicide.

კინაღამ გული გაუსკდა შიშისაგან He was so scared that his heart almost burst (fainted).

მაინც at least „თქვენი ღიმილი მაინც მიჩვენეთ, კარგებო“ (ვაჟა) Show me at least your smile, my dears (Vazha Pshavela)

მოდი = Let's (the 2nd person verb form): მოდი წავიდეთ თეატრში! Let's go to the theatre: მოდი ვნახოთ ეს ფილმი Let's see this film;

ნეტავი expresses wish: ნეტავი არასოდეს იქნებოდეს ომი! I wish there is no war!

ც, -ც — კი — is an intensifying particle: შენც ასე ფიქრობ?! You too think so, don't you?! Are you too of the same opinion?

ხოლმე — expresses repetition, like used to:

ის ხშირად მოდის ხოლმე He often comes

ის ამბობდა ხოლმე He used to say

ხომ — is an interrogative particle that implies disjunctive confirmation (consent) in an answer: ხომ გითხარი, ნუ წახვალ-მეთქი Didn't I tell you not to go there? ხომ მოხვალ? You'll come, won't you?

-ოდე — is used with numerals and expresses approximation to the given number and stresses small quantity: ხუთიოდე (დაახლოებით ხუთი) ბიჭი იდგა ეზოში About five boys were standing in the yard. ორიოდე დღის შემდეგ about two days later,

უნდა — is a finite verb form which when used in the function of the particle does not change according to the persons, i.e., is not conjugated: მე უნდა წავიდე I must go
შენ უნდა წახვიდე You must go

ის უნდა წავიდეს He must go
It is used with the forms of the subjunctive screeve
(cf.: the verb meaning: მინდა I want, გინდა you want, მას უნდა he wants).

უკვე — already; points to the fulfilled action (therefore it doesn't occur in the future tenses)

უკვე 12 საათი შესრულდა It's 12 already
ბავშვს უკვე სძინავს The child is already asleep.

The so-called direct expressers of smb. else's words are as follows: **-მეთქი, -თქო, -ო.**

-მეთქი (<მე ვთქვი I said) points to the words or thoughts of the person speaking: მე მას ვუთხარი, ვიმუშავებ-მეთქი I said to him that I would work.

-თქო (<თქვა he said) is used when the person speaking leaves a message to the person spoken to for a 3rd person: დედას დაურეკე და უთხარი, ნინოს დაავიანდება-თქო Please, call mother and tell her that Nino will be late.

-ო — tells us the words said by a 3rd person: დალი შემპირდა წიგნს მოგიტანო Dali promised me that she would bring me the book (Dali promised to bring the book).

The **-ო** of other persons' words is often used in proverbs meaning "they say" (=ამბობენ), they have said (=უთქვამთ), It is said (ნათქვამია). They are usually implied by the proverbs:

მეგობარი მეგობრისთვის ციხესიმაგრეაო They say a friend is a fortress for a friend (friends are said to fortify each other).

თუ ერი ერობს, მტერი ვერ მტრობსო It is said, if a nation acts as one, the enemy can avail nothing against it.

The interjection (**შორისდებული**) is a sound, a sound sequence, word or a word-combination representing an exclamatory word or group of words used to express sudden feelings or emotions, such as: delight (**ვაშაა!** იგრილა ხალხმა hurrah! — burst out the people), joy (**ოჰ!** წამოიძახა გახარებულმა მეზობელმა — oh! cried the delighted neighbour), sorrow, grief (**ვაჰჰე!** რა ძნელია ობლობა! Ah, how hard it is to be an orphan); liking, approval (**ყოჩაღ!** აი ეს მომწონს! Well done; I like this! **იფ, იფ!** რა გემრიელია! How delicious it is!), offence (უიჰე! ვაიჰე! oh!), surprise (**ბიჭოს!** ეს ვინ მოსულა?! Well, never expected you! **ერიჰაა!** ეგ როგორ მოგივიდა?! How did that happen to you?!), wish, desire (**ახ, ნეტავ მალე მოვიდოდეს!** Ah! I wish he'd come soon, **აჰ!** ნეტავი შენთან მამყოფა

I wish I would be with you!), disgust (**ფუჰ!** შენს ვაჟაცობას Pooh! How caddish of you!), etc.

One and the same interjection may express different emotions (**აჰ, ოჰ! ახ! ვაჰ! უჰ! ოხ!**) according to the situation and intonation. Cf. **ოჰ!** ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! oh, welcome to the new-comer!

and: **ოჰ!** დავიტანჯე ამდენი ლოდინით oh, I'm tired of waiting for so long!

The interjection may express the will (wish of the speaker, e.g. an appeal for to silence: — **ხუ, ხუ** ლაპარაკობ! Hush, don't speak! **ჩუ, არაფერი** წამოგცდეს! Hush, do not let the cat out of the bag!

Sometimes the interjection intensifies the form of address:

ჰაი(ტ), თქვე ლაჩრებო! You cowards!

შენ, ეი, მანდ რას აკეთებ?! Hay, you, what are you doing there?!

Here are interjections used to call domestic animals or the poultry:

აჰუ! — to get a horse going; **ხი, მო, მაამო** to urge the oxen on;

ჰაცე! — to get an ass going; **აქშა! აქში/ქშა/ქში!** to shoo the poultry; **აცხა!** to shoo a cat, etc.

To the group of interjections belong words expressing oaths, greetings, caress, endearment, etc. The oath formulas are: **ღმერთმანი, დედაშვილობამ, ჩემმა (შენმა) მზემ...** Interjections expressing endearment and gratitude: **გენაცვალე, გეთაყვა(ნე), შენი ჭირიმე, შენი კვნესამე,** etc.

Here is a text about Akaki Tsereteli. Pay special attention to the adverbs, conjunctions, particles and interjections.

აკაკი წერეთელი

ქართველი ხალხის ერთ-ერთი უსაყვარლესი მწერალი აკაკი წერეთელი (1840-1915) სამოციანელთა ბრწყინვალე წარმომადგენელია. იგი დაიბადა სოფელ სხვიტორში. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში. შემდეგ დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. 1862 წელს აკაკი საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ არასოდეს უმსახურია სახელმწიფოებრივ დაწესებულებაში. თავისუფალი შემოქმედი ორგანულად იყო დაკავშირებული ქართველ ხალხთან, იზიარებდა მის ჭირ-ვარამს, მხარში ედგა პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციას. ილია ჭავჭავაძესთან ერთად იყო XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მამამთავარი.

აკაკი წერეთელი ავტორია შესანიშნავი ლექსებისა („ხატის წიგნი“, „განთიადი“, „ჩონგური“, „სულიკო“), პოემებისა („გამზრდელი“, „თონიკი ერისთავი“...), მოთხრობებისა („ჩემი თავგადასავალი“, „ბაში-აჩიკი“), კომედიებისა და ვოდევილებისა („სცენა საპატიმროში“, „ბუტიბა“, „კინტო“...), პუბლიცისტური წერილებისა, ფელეტონებისა, ... აკის შემოქმედების დაუშრეტელი წყარო იყო ხალხური სიტყვიერება ფოლკლორის დიდი გავლენა ეტყობა მის თხზულებებს. თვითონაც კი წვლილი შეიტანა ქართული ფოლკლორის შეგროვებასა და სწავლაში.

აკაკი წერეთელმა სიჭაბუკის წლებიდანვე მიიპყრო საზოგადოებრივი ყურადღება ენამაზვილობითა და მოსწრებული სიტყვა-პასუხით. პოეტის „ნაკვესები“ რამდენჯერმე გამოიცა. გავეცნოთ რამდენიმე მათგანს:

* * *

ერთხელ ერთი უხეირო ქართველი არისტოკრატი ეუბნებოდა აკის:

— ვერ წარმოიდგენ, აკაკი, როგორ მიყვარს სცენა. როცა მე ვთამაშობ და სცენას ვუყურებ, სულ ქრუანტელი მივლისო!

— წარმოიდგინე, რომ მეც მაგ მდგომარეობაში ვარო, — უპასუხა აკაკიმ.

— შენ რაღაო? — ჰკითხა გაკვირვებულმა არტისტმა.

— შიშისაგანაო! — მიუგო აკაკიმ.

— რისი გეშინიაო?!

— იმისა, ჩემო კარგო, რომ სცენაზე კარი არ გაიღოს და შენ შემოხვიდეთ, — უპასუხა აკაკიმ.

* * *

ერთმა ახალგაზრდა ქართველმა ინჟინერმა ხუმრობით ჰკითხა აკაკისადმი:

— ასე მალე როგორ დაბრუნდით საიქიოდან?

— შენი გაკეთებული გზა რომ ყოფილიყო, ჯერ კიდევ იქ ვიქნებოდითო... — მოუჭრა აკაკიმ.

* * *

ერთი ახალგაზრდა ქართველი კობტაობით სათვალეს ატარებდა და ხანდახან შუბლზე იდებდა ხოლმე.

— ბატონო აკაკი, რატომაა, რომ ის ყმაწვილი შუბლზე იდებდა სათვალეს და არა თვალებზე?

— იმიტომ, რომ ჰკუთნებდა არის ბეცი და არა თვალებითო! — მიუგო აკაკიმ.

* * *

აკაკი დალაქთან შევიდა თმის გასაყრევად. დალაქი ერთ მელოტს დასტრიალებდა. მელოტს დალაქმა ორი აბაზი გამოართვა. აკაკიმ დალაქი დაიხურა და გარეთ გასვლა დააპირა.

— სად მიბრძანდებით, ბატონო?

— თუ იმას ორი აბაზი გადაახდევინე, მე მთელი საცხოვრებელი ქალაქი მოგცე ჩემი თმის გაკრევაშიო, — უთხრა დიდთმიანმა პოეტმა.

* * *

ერთმა მელოტმა თქვა: — ერთ ლამაზ ქალს წერილი მივწერე: ისე უყვინახავ, როგორც ჩემს თავს-მეთქი. მაგრამ, წარმოიდგინეთ, უარი მიმომითვალა.

— სწორედ მაგით დაგიფრთხია. აბა, რა სასიამოვნოა, მუდამ შიშით და ცარიელა ყოფნაო, — იოხუნჯა აკაკიმ.

* * *

აბასთუმნის რესტორანში ანგარიში წარუდგინეს აკაკის. ზედმეტი არაწერათ. პოეტმა გასინჯა ანგარიში და თქვა: ახლა კი მივხვდი, რატომ ჰქვია ამ მხარეს „აბასთუმანი“ — თურმე აბაზში თუმანს ახდევინებენო.

* * *

„დროების“ რედაქციაში ერთხელ ამ გაზეთის თანამშრომლები შეკრებილიყვნენ და რაღაცაზე კამათობდნენ. მათ შორის იყო იონა მეუნარგაძე, რომელიც „ლელოს“ ფსევდონიმით წერდა ხოლმე. ამ დროს რედაქციაში აკაკი შემოვიდა და ხუმრობით შეუტია მეუნარგაძეს:

— სუ, ლელო!

ქსევერლეს-ი the most favourite, beloved
სასიცინელო-ები-ი "Men of the 1860s", leaders of the Georgian national liberation movement of the period
ქსევერლეს-ი representative
ქსევერლეს-ი oriental department
ქსევერლეს-ი he has never worked/served

სახელმწიფო დაწესებულება State institution (office)
 თავისუფალი-ი შემოქმედ-ი freelance writer, poet, art worker, etc.
 ორგანულად იყო დაკავშირებულ-ი he was organically connected
 with (linked to)
 იზიარებდა-ა he shared
 ჭირ-ვარამ-ი misery
 მხარში ედგა-ა he supported, backed
 მხარში დგომა to support, to back
 მოაზროვნე thinker
 მამამთავარ-ი father, leader
 შესანიშნავ-ი remarkable, brilliant
 „ხატის წინ“ „In Front of the Icon“
 „განთიად-ი“ „The Dawn“
 „ჩონგურ-ი“ „To the Changuri“ (a folk stringed instrument)
 „სულიკო“ „Suliko“ (a word of endearment).
 „გამზრდელ-ი“ is the title of a poem. The word derives from the
 verb-stem გაზრდა to bring up and means „one who brings
 up and educates a youngster.“
 „თორნიკე ერისთავი“ „Tornike Eristavi“, epic by Akaki Tsereteli
 „ჩემი თავდასავალი“ „My Life Story“
 „ბაში-აჩუკი“ „Bashi-Achuki“, story by Akaki Tsereteli
 კომედია comedy
 ვოდევილ-ი vaudeville
 „სცენა საპატიმროში“ „A Scene at the Prison“
 „ბუტიობა“ „Being in the Sulks“
 „კინტო“ „Kinto“ (კინტო character of city folklore)
 დაუმრეტელ-ი წყარო inexhaustible source
 ბალზურ-ი შემოქმედება folklore
 გავლენა influence
 წვლილის შეტანა to contribute
 აიჭაბუკე youth
 ჰიპოქრ-ი ყურადღება he attracted the attention of
 ყურადღების მიპყრობა to attract somebody's attention
 ენამხვილობა wisecracking
 სისწრებულ-ი სიტყვა-პასუხ-ი apt remarks, repartee
 აცეცეს-ი witticisms
 რამდენჯერმე გამოიცა it was published several times
 უხეირო unworthy, useless
 უბნებოდა-ა he used to say
 ვერ წარმოიდგენ you can't imagine
 ულ ყრუანტელ-ი მ-ივლი-ს I shudder all over
 ეც მაგ მდგომარეობაში ვ-არ I feel the same
 იმისაგან from fear; შიში-ი fear

მ-ო he answered, retorted, replied
 ასი გ-ეშინია? what are you afraid of?
 სცენა scene, stage
 ინჟინერ-ი engineer
 ბუქრობით jokingly, in jest
